ხელშეკრულება №152
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი

27 სექტემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგნილი გამგებლის რობიზონ გვენეტაძის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის(მინდობილობა #0033; გაცემული 04 იანვარი 2017 წელი) სანდრო ნერგაძის სახით სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტია ა/მანქანის (OK-001-RB) სათადარიგო ნაწილების მიწოდება (შემდგომში „საქონელი") CVP კლასიფიკატორის კოდი 34300000.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 292 (ორასოთხმოცდათორმეტი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სააქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით განახორციელოს ყველა დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრა, შშემსყიდველის მიერ გაკეთებული ოფიციალური მოთხოვნიდან მაქსიმუმ 4 (ოთხი) დღის ვადაში.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი რობიზონ გვენეტაძე.

5. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონელის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-9 ჩიხი 2ა
5.2. საქონელის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წინდების მიზეზების მითითებით.

7.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,02%-ის ოდენობით.

8.2. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10% ოდენობით.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

8.5. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი

არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 27 სექტემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი"

ქ. ტყიბული კარლო ლომაძის მოედანი №3

საიდენტიფიკაციო კოდი 219636259

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ N5

საიდენთიფიკაციო კოდი 202177205

ს.ს. თიბისი ბანკი ბ.კ.TBCBGE22

ა.ა.GE80TB0000000024467853